უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№8 (39) 2014

უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება

28 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით ირანის ისლამურ რესპუბლიკაში იმყოფებოდა. თსუ წარმომადგენლები სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიას, თეირანის უნივერსიტეტსა და ისლამური ენციკლოპედიის ფონდს ეწვივნენ. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თეირანის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის. 23 მაისიდან 1 ივნისამდე კი შედგა ვიზიტი არგენტინაში, სადაც დელეგაცია არგენტინის განათლების სამინისტროს, არგენტინის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და პროდუქციული ინოვაციების სამინისტროს და ოთხი წამყვანი უნივერსიტეტის (სალვადორის უნივერსიტეტი, ლა პლატას ნაციონალური უნივერსიტეტი, ბელგრანოს უნივერსიტეტი, კილმესის უნივერსიტეტი) წარმომადგენლებს შეხვდნენ. ვიზიტების მიზნებისა და შედეგების შესახებ „უნივერსიტეტის“ მკითხველს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ესაუბრება:

– ირანში ვიზიტი განპირობებული იყო ორი სხვადასხვა მიმართულებით – თეირანის უნივერსიტეტთან ჩვენ გვქონდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც ვადა გაუვიდა და საჭირო იყო მისი განახლება; იყო მეორე მიზეზიც – დაინტერესება სპარსული ენის აკადემიის მხრიდან, რომ გაძლიერდეს თანამშრომლობა ქართველ მეცნიერებთან. ამ შეხვედრებზე, ბუნებრივია, საუბარი იყო იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი მეცნიერების მონაწილეობა კვლევით პროცესებში, რამდენად გაიღება ირანის ისლამური რესპუბლიკის არქივები ამისთვის, რამდენად იქნება შესაძლებელი ირანის მეცნიერების საქართველოში ჩამოსვლა. ასე რომ, ეს იყო მნიშვნელოვანი სტრატეგიული ხასიათის შეხვედრა. ჩვენ გვაქვს საკმაოდ ძლიერი ირანისტიკის სკოლა და, ბუნებრივია, მას მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ მეზობელი სახელმწიფოები ვართ და, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ეს ტრადიციები გაგრძელდეს და გაძლიერდეს.

– შეიძლება ითქვას თუ არა, რომ არქივები, რომელშიც, ალბათ, საქართველოზე ძალიან ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობაა დაცული, უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდება ქართველი მეცნიერებისთვის?

– ეს პროცესი არ არის ასეთი მარტივი. ჩვენ გვქონდა საუბარი ამ თემებზე. ირანელი მეცნიერების მხრიდან არის სრული მზაობა თანამშრომლობისთვის, თუმცა, ცხადია არის სხვა ბიუროკრატიული პროცედურები. ამ თემებზე შეხვედრები და კონსულტაციები გაგ-

გაგრძელება მე-3 გვ.

ამერიკული განათლება – საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაერთო პროექტში, რომელიც ქართველ სტუდენტებს საქართველოში ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომების მიღების საშუალებას მისცემს. „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ პროექტის ფარგლებში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლითაც აშშ-ისა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისგან (სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) შემდგარი კონსორციუმი საქართველოში საბაკალავრო პროგრამებს განახორციელებს.

პროექტი საქართველოსა და აშშ-ის შორის 2013 წელს ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის (MCC) მეორე კომპაქტის ფარგლებში მიმდინარეობს. კომპაქტი საქართველოსთვის 140 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივებისთვის. კომპაქტის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური კაპიტალის გაძლიერება საინჟინრო და ტექნოლოგიური სფეროს სპეციალისტების განვითარების შედეგად. აღნიშნუ-

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ-ში ახალი ფაკულტეტი გაიხსნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი იქმნება. შესაბამისი გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ და სენატმა 26 ივნისს მიიღეს. ამ მიზნით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყოფა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულება, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს – განათლების მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულება, მათი გაერთიანების გზით კი ჩამოყალიბდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ახალი ფაკულტეტის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები 2014 წლის ბოლომდე დასრულდება.

„მეცნიერების ეს ორი დარგი ბოლო პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავით საჭიროებს დახმარებას, რადგან ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორები არაერთი წლის განმავლობაში ითხოვდნენ ცალკე ფაკულტეტზე მოღვაწეობას. რაც შეეხება პედაგოგიკას – ამ პროფილის ადრე არსებული ინსტიტუტები ყველა უნივერსი-

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ – ქართული ინოვაციებისა და გამოგონებების გამოფენაზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ თსუ მეცნიერ-მკვლევართა გამოგონებები და ინოვაციები წარმოადგინა. გამოფენა „ქართული ინოვაციები და გამოგონებები ბიზნესისთვის” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ორგანიზებით 10-12 ივლისს გაიმართა.

წარმოდგენილ ინოვაციურ პროექტებს შორის იყო გულის აპარატი, რომელიც გარკვეული პერიოდი გულის ფუნქციონირების შენარჩუნების საშუალებას იძლევა და ექიმებს დამატებით დროს აძლევს პაციენტის გადასარჩენად, ლითონდეფიციტური ანემიის პროფილაქტიკურ-სამკურნალო საშუალებები; ეკოლოგიურად სუფთა სასუქები მცენარეთა დასაცავად; ახალი თაობის ხელატები სოფლის მეურნეობისთვის; ე.წ. დსპ-ს საწარმოებლად ახალი ეკოლოგიურად სუფთა კომპონენტების გამოყენება; ბიოჩიპი, როგორც ინსტრუმენტი ბაქტერიების და ვირუსების სკრინინგისთვის; ღვარცოფების, მეწყერების ადრეული შეტყობინების აკუსტიკური ტელემეტრული სისტემები და ა.შ. – ეს მხოლოდ ნაწილია იმ სამეცნიერო პროდუქტიდან, რომელიც

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ-ში საუნივერსიტეტო კლინიკა იქმნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და საქართველოს ექიმთა ასოციაციას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გია ლობჟანიძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. თსუ-სა და საქართველოს ექიმთა ასოციაციას (სეა) შორის თანამშრომლობის ფარგლებში სამედიცინო საუნივერსიტეტო კლინიკა იქმნება.

გვ. 3

თსუ სტუდენტები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე

თსუ სტუდენტებს მსოფლიოში ცნობილ და გავლენიან ნობელის პრემიის ლაურეატების ლექციების გარდა, შეუძლიათ დაესწრონ, პლენარულ სესიებს, პოსტერების პრეზენტაციას, ჩაერთონ სოციალურ აქტივობებსა და მონაწილეობა მიიღონ სანახაობრივ ტურებში.

გვ. 3

კონკურსის „მისია 2014“ გამარჯვებულები ცნობილია

წლევანდელი კონკურსის გამარჯვებული გუნდი “Death star“-ი გახდა, რომელსაც ფულადი პრემია 2500 ლარი გადაეცა, მეორე ადგილი გუნდმა “ემისია“ დაიკავა და 1500 ლარით დაჯილდოვდა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი ”TSU energy“-ის ერგო, რომელმაც საპრიზო ფონდიდან 1000 ლარი მიიღო.

გვ. 4

ლადო ჭანტურიას საიუბილეო კრებულის პრეზენტაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლადო ჭანტურიას საიუბილეო კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. საიუბილეო გამოცემა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მიერ მომზადდა და ინსტიტუტის მესამე საიუბილეო კრებულია.

ლადო ჭანტურია დღეს საქართველოს ელჩია გერმანიაში. იგი არის ასოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთა ნაწილი ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და ბულგარულ ენებზე საზღვარგარეთ არის გამოქვეყნებული. არის მრავალენოვანი სამეცნიერო კრებულების რედაქტორი და თანაავტორი. დაჯილდოებულია გერმანიის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი, სახელმწიფოს წინაშე დამსახურების ჯვრით („Das Grosse Bundesverdienstkreuz“).

სახელმძღვანელო საბანკო საქმის შესწავლის მსურველთათვის

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროფესორების ირაკლი კოვზანაძის და გოგი კონტრიძის წიგნის – „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“ პრეზენტაცია.

548 გვერდიანი წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების საბანკო საქმის სპეციალობის ბაკალავრებისათვის, ეკონომიკური პროფილის სხვა მიმართულებების მაგისტრებისათვის, დოქტორანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის. სახელმძღვანელო ასევე დაეხმარება მეცნიერ-მკვლევარებს, ეკონომისტებსა და პრაქტიკოს ბანკირებს გაიღრმავონ ცოდნა საბანკო საქმეში.

ირაკლი კოვზანაძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ წიგნის დაწერის აუცილებლობა მას და მის კოლეგას მრავალწლიანმა საბანკო პრაქტიკამ და პედაგოგიურმა გამოცდილებამ უკარნახა.

„ნაშრომი ეფუძნება საბანკო საქმიანობის საერთაშორისო და სამამულო გამოცდილებას. მასში საბანკო კანონმდებლობის ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხილულია საბანკო საქმის კონკრეტული მაგალითები როგორც საქართველოს შემთხვევაში, ასევე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკიდან“ – განაცხადა კოვზანაძემ.

ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ, რომელიც პრეზენტაციას ესწრებოდა, ხაზი გაუსვა წიგნის მნიშვნელობას. “წიგნი ავტორების პირად გამოცდილებაზეა დამყარებული და ძალიან საინტერესო სახელმძღვანელოა, რომელიც თეორიული კურსის გარდა, ზუსტად ასახავს ქართულ საბანკო რეალობას.“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა წიგნის ავტორებს მიულოცა სახელმძღვანელოს გამოცემა. „ამ წიგნში მოცემულია საბანკო სისტემის ღრმა ანალიზი და გაჯერებულია პრაქტიკული მაგალითებით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს წიგნის მნიშვნელობას. მოგეხსენებათ, რომ აქამდე არ არსებობდა ქართულენოვანი სახელმძღვანელო ამ სფეროში, რაც პედაგოგებს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაში პრობლემებს უქმნიდა. აღნიშნული გამოცემა კი ამ ხარვეზს სრულად აღმოფხვრის,“ აღნიშნა კვირიკაშვილმა.

წიგნის ხარისხზე წარმოადგენას მისი ავტორების პროფესიული გზაც ქმნის – ირაკლი კოვზანაძე დღეს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორია; არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; თსუ ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის გამგე. გამოცემული აქვს 6 მონოგრაფია და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მათემატიკასა და ეკონომიკაში საქართველოსა და საზღვარგარეთ; აქვს საქართველოს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ევროპის საბანკო სისტემებში მმართველობით თანამდებობებზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება. გოგი კონტრიძე კი არის ეკონომიკის აკადემიური დოქტორი; აქვს საბანკო-საფინანსო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება მენეჯერულ პოზიციებზე; არის ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ავტორებმა აღნიშნეს, რომ დროთა განმავლობაში სახელმძღვანელოში ინფორმაცია განახლდება და იგი ხელახლა გამოიცემა. იმისთვის, რომ ყველა სტუდენტს და დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდეს იხელმძღვანელოს ამ გამოცემით, ავტორები წიგნის ელექტრონულ ვერსიას განათავსებენ ვებ გვერდზე და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ინტერნეტში გაეცნონ და ჩამოტვირთონ იგი.

თსუ – ქართული ინოვაციებისა და გამოგონებების გამოფენაზე

პირველი გვერდიდან

გამოფენაზე იყო წარმოდგენილი.

ბიზნესის განვითარების გამოფენა-კონფერენციაზე თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ეკონომიკა: ძველი პრობლემები და ახალი გამოწვევები.“

გამოფენის ორგანიზატორის, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია გამოავლინოს და წარმოაჩინოს საქართველოში არსებული გამოყენებითი კვლევების შედეგები და ტექნოლოგიები, ხელი შეუწყოს ინოვატორებსა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის წახალისებას, ახალი ინოვაციური პროექტების დაწყებას და „სტარტ-აპ“ კომპანიების გაჩენას.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 150-ზე მეტი ინოვაციური პროექტი და გამოგონება სხვადასხვა ინდუსტრიისათვის. სამდღიანი ღონისძიების ფარგლებში, ქართველ მეცნიერებს, გამომგონებლებსა და ინოვატორებს საშუალება მიეცათ ბიზნესის წარმომადგენლების და ინოვაციების და ტექნოლოგიების მიმართულებით დაინტერესებულ საზოგადოებისთვის გაეცნოთ საკუთარი ინოვაცია თუ გამოგონების ეფექტური მოდელი.

ამერიკული განათლება – საქართველოში

პირველი გვერდიდან

ლი უნიკალური საგანმანათლებლო პროექტის შედეგად, კურსდამთავრებულები საქართველოში მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს საინჟინრო, ტექნოლოგიებსა და საბუნებისმეტყველო სპეციალობებში. პროექტის ბიუჯეტი 30 მილიონი აშშ დოლარია.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც კალიფორნიაში მდებარე კვლევითი უნივერსიტეტია, საქართველოში საბაკალავრო პროგრამებს 2014-2015 სასწავლო წლიდან განახორციელებს: სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდება ელექტრული ინჟინერიის, ქიმიისა (ბიოქიმიის კონცენტრაცია) და კომპიუტერული მეცნიერების პროგრამები.

მემორანდუმს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და სან დიეგოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის პროვოსტმა ნენსი მარლენმა მოაწერეს ხელი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, „საქართველო მოხვდა იმ ოთხ ქვეყანას შორის, რომელმაც მეორე კომპაქტი და დაფინანსება მიიღო. ეს აშშ-ის გამორჩეული მხარდაჭერის მაგალითია. იმის ნიშანი, რომ საქართველოში დაინახეს, იმის რესურსი, რომ მას შეუძლია ჩადგეს მოწინავე ქვეყნების სიაში. ამგვარი ნდობა კი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს მთავრობას”.

თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას შეფასებით, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ფარგლებში შესასრულებელი პროექტი სრულიად საუნივერსიტეტო პროექტია, რომლის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი, უკვე გაერთიანებული ბაზა და რესური იქნება გამოყენებული. თსუ კი პროექტის წარმატებისთვის ყველა აუცილებელ ნაბიჯს გადადგამს.

„საქართველოში იწყება თვისობრივად ახალი პროექტი, რომელიც თანამედროვე საინჟინრო სკოლას შექმნის. პროექტის განხორციელების შედეგად, მივიღებთ პრაქტიკულად ახალი თაობის ინჟინრებს, რომელთაც საერთაშორისო აღიარების დიპლომი ექნებათ. ამ დიპლომით ისინი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც შეძლებენ მუშაობას. ამ პროექტით იხსნება ახალი შესაძლებლობები ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარებისთვის. ეს არის სერიოზული გამოწვევა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს გაიყვანს საერთაშორისო დონეზე“, – აცხადებს ვლადიმერ პაპავა.

თსუ-ში ახალი ფაკულტეტი გაიხსნება

პირველი გვერდიდან

ტეტებად გადაკეთდა და ამ მიმართულებამ სახელმწიფოს მხრიდან ტრადიციული მხარდაჭერა დაკარგა. ამიტომ გადავწყვიტეთ მათი გაძლიერება, რაც ძველი ტრადიციების გაგრძელებითა და ახალი მსოფლიო გამოცდილების გაზიარებით მოხდება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ყველა საკითხი შევისწავლეთ. ეს გადაწყვეტილება საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია და ჩვენ არც ერთ ხელოვნურ ცვლილებას არ განვახორციელებთ, თუ ის საზოგადოების მხრიდან შინაარსობრივად არ იქნება მხარდაჭერილი და ფინანსურად უზრუნველყოფილი. ახალი ფაკულტეტის შექმნას ერთხმად დაუჭირა მხარი თსუ აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა. კონსულტაციები გავიარეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საიდანაც სრული მხარდაჭერა მივიღეთ,“- განაცხადა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

ფაკულტეტებზე სამეცნიერო საქმიანობით ვერ დავიკვეხნით. დეკანის ახალი მოადგილის დახმარებით, სამეცნიერო მუშაობას ხელი შეეწყობა და ყურადღება გამახვილდება“, – ამბობს იგი.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების სკოლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილის ბინაში პროფესორთა საბჭოს პირველი წინასწარი სხდომა შედგა, გადაწყდა, რომ ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ერთი –სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაარსებულიყო, რომელსაც ექნებოდა 3 განყოფილება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჩამონათვალში თავიდანვე შედიოდა პედაგოგიკა. მეცნიერების ამ დარგს დამფუძნებლები დაარსებისთანავე გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომ, 1919 წლის სექტემბერში უნივერსიტეტის საპედაგოგო ინსტიტუტი დაარსდა, რომლის გამგედ პროფესორი დიმიტრი უზნაძე აირჩიეს.

სხვა დარგებთან ერთად, უნივერსიტეტის პირველივე თაობის სტუდენტობა ფსიქოლოგიის მეცნიერებასაც სწავლობდა. პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ფსიქოლოგიის სალექციო კურსს დიმიტრი უზნაძე კითხულობდა. მისი ინიციატივით 1923 წელს უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური ლაბორატორია გაიხსნა, ხოლო 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შემადგენლობით ფსიქოლოგთა საზოგადოებაც დაარსდა. უნივერსიტეტში შეიქმნა და დაიხვეწა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. უნივერსიტეტის კედლებში განვითარდა ქართული ფსიქოლოგიური სკოლა.

უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის დარგი ჯერ ისტორიის, შემდეგ იურიდიული, ხოლო ბოლოს ფსიქოლოგია–ფილოსოფიის ფაკულტეტის შემადგენლობაში ვითარდებოდა. დამოუკიდებელი სახით ფსიქოლოგიის ფაკულტეტი 1990 წელს დაფუძნდა. 2005 წლიდან ფაკულტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან გაერთიანდა და მის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს დაფუძნდა. დღეისთვის უნივერსიტეტში 6 ფაკულტეტი ფუნქციონირებს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2014 წლის ბოლოს კი უნივერსიტეტს ახალი – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი შეემატება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება

პირველი გვერდიდან

რძელდება. მოგვიანებით მე მქონდა ნაყოფიერი შეხვედრა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, ეს არის საკმაოდ სერიოზული თანამშრომლობის პროცესი.

– არგენტინა თითქოს ასეთი შორია საქართველოსგან. რა საერთო ინტერესები და გეგმები აქვთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და არგენტინის უნივერსიტეტებს?

– ორი წლის წინ, სანამ მე ვიქნებოდი არჩეული უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე, ჩვენ უნივერსიტეტსა და ლა პლატას უნივერსიტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება. ლა პლატას უნივერსიტეტში არსებობს საქართველოს შემსწავლელი კათედრა, იქ პერიოდულად ჩადიან ქართველი პროფესორები და კითხულობენ ლექციებს. ლა პლატას უნივერსიტეტიდან იყო დაინტერესება, რომ ჩავსულიყავი და როგორც ახალ რექტორს დამეფიქსირებინა მზადყოფნა თანამშრომლობის გაგრძელებაზე. თუმცა, ამას გარდა, გამოიკვეთა სხვა ინტერესებიც – კერძოდ, ჩვენ გვქონდა შეხვედრა ასევე ბელგრანოს უნივერსიტეტთან, სადაც გამოითქვა სურვილი თსუ-სა და ბელგრანოს უნივერსიტეტის თანამშრომლობის შესახებ. ბელგრანოს უნივერსიტეტში ჩატარდა ჩემი საჯარო ლექციაც თემაზე: „საქართველოს ეკონომიკური რეფორმები: ძველი პრობლემები და ახალი გამოწვევები“, რომელსაც დაესწრნენ პროფესორები და სტუდენტები. ჩვენ გვქონდა შეხვედრა სალვადორის უნივერსიტეტშიც, რომელიც ასევე მზად არის თანამშრომლობისთვის – ერთობლივი პროგრამების განხორციელებისთვის, სტუდენტების გაცვლისთვის; ხოლო კილმესის უნივერსიტეტის რექტორი უკვე სექტემბერში ჩამოდის თბილისში იმ მიზნით, რომ კონკრეტულ დოკუმენტს მოვაწეროთ ხელი.

– ანუ საუბარია ერთობლივ კვლევებზე, ერთობლივ პროექტებზე...

– ისინი მზად არიან ჩვენს სტუდენტობას და პროფესურას, ვინც დაინტერესებულია ესპანური ენისა თუ ლათინო-ამერიკული კულტურის შესწავლით, კარი გაუხსნან თანამშრომლობისთვის. გარდა ამისა, შევხვდით არგენტინის მეცნიერებისა და ინოვაციების მინისტრს. მან გვაცნობა, რომ არის საერთაშორისო გრანტები, რომელსაც გასცემს ეს სამინისტრო და მოგვიწოდა ქართველი მეცნიერების ამ პროცესში ჩართვისკენ. გვქონდა შეხვედრა განათლების სამინისტროში, სადაც ითქვა, რომ დღეს არგენტინაში პრიორიტეტულად ითვლება კავკასიის რეგიონი.

სხვათა შორის, ახლახან იყო ჩამოსული ჩვენთან კოსტა-რიკას უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დარგში და ასევე გამოხატეს თანამშრომლობისთვის მზადყოფნა.

აქ არის ერთი პრობლემა – რამდენად არიან ქართველი სტუდენტები მზად ესპანურ ენაზე სასწავლად. ბუნებრივია, ჩვენ ამ საკითხს სპეციალურად დავამუშავებთ შესაბამის ფაკულტეტებთან ერთად. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება გაფართოვდეს უნივერსიტეტის შესაძლებლობები და დანარჩენი კონკრეტული ფაკულტეტების, პროფესორებისა და სტუდენტების ჩართულობით იქნება მიღწეული.

უნივერსიტეტის საერთშორისო კონტაქტები სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. შემოდგომით ასევე არის დაგეგმილი რამდენიმე ვიზიტი, რომელიც არსებული მიმართულებების გაღრმავებას, ზოგი კი ახალი მიმართულებების ათვისებას მოემსახურება.

თსუ სტუდენტები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე

17-21 აგვისტოს, ისრაელში (ქ. იერუსალიმი), ნობელის პრემიის ლაურეატის როჯერ კრონბერგის ინიციატივით ტარდება მსოფლიო სამეცნიერო კონფერენცია “ისრაელი-2014”. ფორუმს 30-მდე ნობელის პრემიის ლაურეატი დაესწრება. კონფერენცია იერუსალიმის უნივერსიტეტში ისრაელის მეცნიერების სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. მასზე ლექციებს ცნობილი მეცნიერები წაიკითხავენ.

ებრაული მხარის მოწვევით სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება სტუდენტთა ჯგუფი. თსუ დელეგაციას უხელმძღვანელებს თსუ პროფესორი ნანული დორეული. კონფერენციაზე დამსწრე წარჩინებულ სტუდენტთა გამოსავლენად თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კონკურსი ჩატარდა. ესენი არიან ბაკალავრიატის სტუდენტები: მარიამ მიქაძე, ნათია ქარჩავა, ირაკლი ჯოხაძე.

თსუ სტუდენტებს მსოფლიოში ცნობილ და გავლენიან ნობელის პრემიის ლაურეატების ლექციების გარდა შეუძლიათ დაესწრონ, პლენარულ სესიებს, პოსტერების პრეზენტაციას, ჩაერთონ სოციალურ აქტივობებსა და მონაწილეობა მიიღონ სანახაობრივ ტურებში.

* * *

24-29 აგვისტოს, ნანიანგის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (სინგაპური), აზიის სამეცნიერო ბანაკის კომისიის ორგანიზებით გაიმართება საერთაშორისო კონგრესი, სადაც ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი მეცნიერები და ნობელის პრემიის ლაურეატები ფიზიკასა და ქიმიაში (www.ntu.edu.sg/ias/asc2014).

აზიის სამეცნიერო ბანაკის მიზანია გამოავლინოს ახალგაზრდა ტალანტები სამეცნიერო კუთხით დისკუსიისა და დიალოგის საფუძველზე მსოფლიოში ცნობილ ტოპ-მეცნიერებთან ერთად. გარდა ამისა, ბანაკი მიზნად ისახავს საერთაშორისო მეგობრობის განვითარებასა და თანამშრომლობის ხელშეწყობას საუკეთესო მოსწრების მქონე სტუდენტებს შორის. მონაწილე სტუდენტები უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევებში განსაკუთრებული ინტერესით ჩართულობის ნიშნით შეირჩნენ.

აზიის სამეცნიერო ბანაკის (ASC 2014) ჩატარების ორგანიზატორი უმაღლესი სასწავლო ინსტიტუტია. ბანაკი იმართება ეე ოუნდატიონ, სინგაპურის განათლებისა და ეროვნული კვლევითი ფონდის მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ თსუ-ს სტუდენტთა ჯგუფმა შარშანაც მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში (ცუკუბა, იაპონია 2013).

წელს, აზიის მერვე სამეცნიერო ბანაკში ბაკალავრიატის სტუდენტები: ალექსანდრე ბარნაველი, ირაკლი მანთაძე, მარი-ლუიზა კონჯარია გაემგზავრებიან. ჯგუფის ხელმძღვანელია თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გიორგი ციციშვილი.

თსუ-ში საუნივერსიტეტო კლინიკა იქმნება

9 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და საქართველოს ექიმთა ასოციაციას დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გია ლობჟანიძემ თანამშრომლობის მემორანდუმის მოაწერეს ხელი. თსუ-სა და საქართველოს ექიმთა ასოციაციას (სეა) შორის თანამშრომლობის ფარგლებში სამედიცინო საუნივერსიტეტო კლინიკა იქმნება.

საუნივერსიტეტო კლინიკაში თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები გაივლიან სამედიცინო პრაქტიკას, თსუ პროფესორები განახორციელებენ სასწავლო-კვლევით და სამკურნალო საქმიანობას.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „საუნივერსიტეტო კლინიკა საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ სამედიცინო საზოგადოების ჩართულობა საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ხოლო ჩვენი სტუდენტები გაივლიან მაღალკვალიფიციურ სამედიცინო პრაქტიკას.“

„თსუ მედიცინის ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო კლინიკის არსებობა. თსუ-სა და საქართველოს ექიმთა ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით საერთაშორისო სტანდარტების კლინიკა ჩამოყალიბდება. უკვე ჩამოვიდა ჰუმანიტარული ტვირთი ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ერთი წლის განმავლობაში გერმანიიდან და ამერიკიდან ჩამოვა თანამედროვე სტანდარტების სამედიცინო აპარატურა და სამედიცინო საგნები,“ – აღნიშნა საქართველოს ექიმთა ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა გია ლობჟანიძემ. მისი განმარტებით, აპარატურა და სამედიცინო მოხმარების საგნები შემდეგი დეპარტამენტებისათვის არის განკუთვნილი: კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინა; ქირურგია; პედიატრია და ამბულატორია. ჰუმანიტარული ტვირთის ღირებულება ჯამში 200 000 აშშ დოლარამდეა.

მემორანდუმის თანახმად, თსუ-სა და სეა-ს თანამშრომლობითა და ერთობლივი ღონისძიებებით შექმნილ საუნივერსიტეტო მრავალპროფილიანი კლინიკის ბაზაზე განხორციელდება თსუ მედიცინის ფაკულტეტის დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემისთვის თანამედროვე დონის პროფესიონალთა მომზადებას და ქვეყნის მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას.

თსუ სპელეოლოგები საერთაშორისო კავშირებს აღრმავებენ

თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დოქტორანტი ლაშა ასანიძე სულ ცოტა ხნის წინ ნიუ-მექსიკოს ქალაქ კარლსბადიდან დაბრუნდა. აქ მდებარე ინსტიტუტში იგი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში – ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები – გამარჯვების შემდეგ გაემგზავრა. კვლევის სახელი “კარსტული პროცესების კვლევა საქართველოში” გახლდათ. კარლსბადში მდებარე მღვიმისა და კარსტის ეროვნულ კვლევით ინსტიტუტში ახალგაზრდა მეცნიერი სტაჟირებას 2014 წლის 8 თებერვლიდან 4 თვის განმავლობაში გადიოდა.

ჭიათურელი ლაშა ასანიძე თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის მიმართულების დოქტორანტია. მისი სადოქტორო თემაა “რაჭის კირქვული მასივის კარსტი და მღვიმეები” (თემის ერთ-ერთი ხელმძღვანელია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი კუკური წიქარიშვილი).

როგორც ლაშა ამბობს, ამერიკაში ყოფნისას ძალიან დიდი გამოცდილება მიიღო. მღვიმისა და კარსტის ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი ამ პროფილით მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად ითვლება. აქ ბევრი სახელოვანი მეცნიერიც მოღვაწეობს და ამავე დროს სეროზული ტექნიკური ბაზაც გააჩნია. ინსტიტუტის დირექტორი ჯორჯ ვენი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გეოლოგია. საინტერესოა, რომ ინსტიტუტის დირექტორი ჯორჯ ვენი მომავალში ლაშასთან ერთად ერთობლივ პროექტებზე მუშაობასაც არა გამორიცხავს, რომელთა შორის ყველაზე რეალური საქართველოში არსებული მღვიმეების შესწავლის საკითხია. აშშ-ში ყოფნისას ლაშამ მღვიმის გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის კურსი გაიარა, რომელიც მღვიმეების წარმოშობას და ასევე კარსტული წყლების შემადგენლობას და თვისებებს სწავლობს.

ახალგაზრდა მკვლევარი დარწმუნებულია, რომ სპელეოლოგიას როგორც დარგს უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ეს დარგი ბუნებრივად წარმოშობილ კარსტულ მღვიმეებს და ხელოვნურ გამოქვაბულებს შეიწავლის. ადგენს მღვიმეების წარმოშობას, ასაკს, ევოლუციას, სტრუქტურას, მორფოლოგიასა და ეკოსისტემებს.

“რაჭა, სამეგრელო, წყალტუბო, იმერეთი თუ სხვა რეგიონი, მღვიმეების და ქვაბულების სიმრავლის გამო ელემენტარულად ტურიზმის თვალსაზრისით არის საინტერესო და შესაძლოა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს. ამის პოტენციალი საქართველოში ნამდვილად არსებობს. გარდა ამისა, მეორე საკითხია მღვიმეების სამკურნალო თვისებების შესწავლა და შესაბამისად გამოყენება. თუმცა, ამისათვის მათი ეკოლოგიური კუთხით დაცვაცაა საჭირო. მაგალითად, თუნდაც წყალტუბოში მდებარე თეთრა მღვიმე ავიღოთ, რომელიც თავის სამკურნალო თვისებებით იყო ცნობილი. კერძოდ, ეფექტიანი ბრონქული ასთმის და ჰიპერტონიის მკურნალობის თვალსაზრისით გახლდათ“, – დარწმუნებულია ლაშა ასანიძე. 2012 წელს, ლაშას მოპოვებული აქვს პრეზიდენტის სამეციერო გრანტი ახლგაზრდა მეცნიერთათვის თემატიკით: „შაორის ქვაბულის კარსტის სპელეოლოგიური გამოკვლევები“, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა.

2014 წელს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიატუტის მიერ მოპოვებული სამი გარნტიდან ერთ-ერთია: “საქართველოს ტერიტორიაზე კარსტული ფენომენების წარმოშობის პირობების (გენეზისის) დადგენა და გამოვლენილი მღვიმური სისტემების ტურისტული მიზნებისთვის გამოყენების პერსპექტივები”. რომელშიც ლაშა ასანიძე ძირითადი შემსრულებელია. ხელმძღვანელი გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი ნანა ბოლაშვილია.

ამერიკელი მეცნიერების ჩამოსვლამდე ვახუშტი ბაგრატიონის ინსტიტუტი სტუმრად უახლოეს მომავალში სხვა უცხოელ სტუმრებს ელის. სულ ცოტა ხანში ლიტვიდან ჩამოსულ კოლეგებს ფრანგი მეცნიერები ჩაანაცვლებენ, რომლებთან ერთადაც თსუ სპელეოლოგები დასავლეთ საქართველოში აგვისტოში იმუშავებენ.

სიახლეები

22 ივლისს საქართველოში პირველად თსუ-ში საერთაშორისო სამხრეთ კავკასიის სიმპოზიუმი და ტრენინგი მედია სამმართალში „მედიის კანონი“ (Media Rule) გაიმართა. მასში ქართველი, გერმანელი, სომეხი და აზერბაიჯანელი დელეგატები, პროფესორები, სტუდენტები, ექსპერტები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.
ღონისძიებაზე ექსპერტებმა განიხილეს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილება, გაეცნენ ახალ მიდგომებს მედია სამართლის სწავლების მიმართულებით, იმსჯელეს მედიაში საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე და სასამართლო საკითხების გაშუქების თავისებურებებზე.

* * *

29 ივლისს, 18.00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართება. კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, რექტორის მოადგილეები და ფაკულტეტების დეკანები მიულოცავენ. შედგება მუსიკალური ჯგუფის „TSU ART“ კონცერტი. მისამართი: ი. ჭავჭავაძის 1, თსუ I კორპუსის ეზო.

* * *

18-20 ივლისს თსუ-ში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ცვლილებები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები ქართულ სისხლის სამართალში (სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები)“. ღონისძიება თსუ იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტისა და კრიმინოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა.

სიახლეები

* * *

17 ივლისს თსუ-ში გაიმართა რიგით მე-4 სტუდენტური კონფერენცია თემაზე „საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე გამოწვევები“. კონფერენცია საერთაშორისო მართლმსაჯულების მსოფლიო დღეს მიეძღვნა.

* * *

11 ივლისს „ბრავო რექორდსში“ „თსუ გორდელას“ ალბომის პრეზენტაცია გაიმართა. ალბომი სტუდია „ბრავო რექორდსში“ ჩაიწერა და მასში შესულია, როგორც ძველი ასევე ახალი 12 მუსიკალური კომპოზიცია. ნაწარმოებების სრულიად ახალი ვერსიები ჯგუფის მუსიკალურ ხელმძვანელ თამაზ მამალაძესთან ერთად კომპოზიტორმა ლილიკო ნემსაძემ შექმნა.

* * *

10 ივლისს თსუ-სა და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, მხარეები ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის ითანამშრომლებენ. დაიგეგმება საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტები; ტურიზმის ადმინისტრაცია რეკომენდაციას გაუწევს თსუ-ის მიერ შემუშავებულ და წარდგენილ სასწავლო-კვლევითი ხასიათის პროექტებს ადგილობრივი ან უცხოური დონორი ორგანიზაციებიდან დაფინანსების მოსაპოვებლად; ხელს შეუწყობს თსუ სტუდენტებს საკუთარ და სხვა შესაბამის დაწესებულებაში პრაქტიკის მხრივ, უზრუნველყოფს თსუ-სთვის საერთაშორისო ტურისტული გამოფენებისა და კონფერენციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

* * *

7 ივლისს თსუ-სთან აქტიური თანამშრომლობისათვის, სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა გერმანელ პროფესორ ოტო შულტს. 7-12 ივლისს თსუ-ში რიგით მეექვსე ქართულ-გერმანული სკოლა-სემინარი ფუნდამენტურ მეცნიერებებში – „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი 10 წლისაა“ გაიმართა. მასში ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობენ გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რამდენიმე ინსტიტუტის დირექტორი და წამყვანი სპეციალისტი, პროფესორები ბონის, მიუნსტერის, კიოლნის, აახენისა და დიუსელდორფის უნივერსიტეტებიდან.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის იულიხის კვლევით ცენტრს (FZJ) შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელმა სებასტიან შმიდტმა მოაწერეს.

* * *

8 ივლისს თსუ-ში ესპანური სამართლის ინსტიტუტის პრეზენტაცია გაიმართა. ინსტიტუტი ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა. ღონისძიებაზე ხელი მოეწერა უნივერსიტეტთაშორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს კვლევას. უნივერსიტეტთაშორის თანამშრომლობაში ჩართულია: თსუ, ბარის აღდო მოროს უნივერსიტეტი (იტალია), სალენტოს უნივერსიტეტი (იტალია), ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი (ესპანეთი), სევილიის, კადისის უნივერსიტეტები (ესპანეთი), ბარანკიის უნივერსიტეტი (კოლუმბია).

* * *

უნივერსიტეტში გაიმართა ცნობილი ამერიკული ბესტსელერის, ქირურგთა სამაგიდო წიგნის „შაინის საღი აზრი გადაუდებელ აბდომინურ ქირურგიაში“ პრეზენტაცია. წიგნის მთარგმნელი და პროექტის ხელმძღვანელია მედიცინის დოქტორი თეიმურაზ ქემოკლიძე, სამეცნიერო რედაქტორია მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ კილაძე, რეცენზენტია მედიცინის დოქტორი კახაბერ კიკვიძე.

* * *

5 ივლისს თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET-აისეტი) კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია გაიმართა. მაგისტრებისთვის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს: თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ, ნინო ქადაგიძე-ყვანიამ. აისეტში ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ეკონომიკის მაგისტრის წოდება 37 სტუდენტმა მიიღო.

* * *

30 ივნისს თსუ-ში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „არგო 2014 – ლეგენდის გაცოცხლება“. კონფერენცია გამოჩენილი ინგლისელი მოგზაურის, მეცნიერისა და მწერლის ტიმ სევერინისა და “ახალი არგონავტების“ საქართველოში მოგზაურობიდან 30 წლისთავის მიეძღვნა. მასში მონაწილეობა მიიღეს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, ცნობილმა მოგზაურმა, მეცნიერმა და მწერალმა ტიმ სევერინმა, “ახალი არგონავტების“ ექსპედიციის წევრებმა, თსუ აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა. გაიმართა ტიმ სევერინის წიგნის „იასონის მოგზაურობის“ პრეზენტაცია.

კონკურსის „მისია 2014“ გამარჯვებულები ცნობილია

11 ივლისს თსუ-ში სტუდენტური კონკურსის – „მისია 2014“ ფინალი და დაჯილდოების საღამო გაიმართა. 6 გუნდი ჟიურის წინაშე კომპანია „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ს ორ ბრენდზე – „სანტისიმო“ და „სანტინო“ შექმნილი პრეზენტაციებით წარსდგა. წლევანდელი კონკურსის გამარჯვებული გუნდი “Death star“-ი გახდა, რომელსაც ფულადი პრემია 2500 ლარი გადაეცა, მეორე ადგილი გუნდმა “ემისია“ დაიკავა და 1500 ლარით დაჯილდოვდა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი ”TSU energy“-ის ერგო, რომელმაც საპრიზო ფონდიდან 1000 ლარი მიიღო.

„კომპანია “სანტეს” პროექტზე ერთი თვის განმავლობაში ვმუშაობდით და ეს იყო ძალიან დიდი გამოცდილება, ჩვენი იდეები ნელ-ნელა დამუშავებულ და გაწერილ პროექტად იქცა და ბედნიერი ვარ, რომ წარმატება მოგვიტანა“, – აღნიშნა გამარჯვებული გუნდის ლიდერმა ანა ყიასაშვილმა.

ფინალში გასულ ყველა მონაწილეს სერტიფიკატები და ორგანიზატორების სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. უნივერსიტეტის კიდევ ერთმა პარტნიორმა ინტერნეტ მაღაზიამ .ge გამარჯვებული გუნდები მეხსიერების ბარათებითა და ფასდაკლების ვაუჩერებით დააჯილდოვა.

სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. 2014 წელს კონკურსის თანაორგანიზატორი კომპანია „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტებია“, რომელმაც კონკურსისთვის საპრიზო ფონდი 5000 ლარი დააწესა.

„მსგავსი პროექტების განხორციელება ორმაგად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, პირველ რიგში მოხარულები ვართ, რომ ახალგაზრდებს აქვთ შანსი თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, ამასთან, გამარჯვებული პროექტის ავტორებს შესაძლებლობა ექნებათ რეალურად განახორციელონ თავიანთი პროექტები კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად. მეორეს მხრივ, ჩვენი კომპანიისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია ჩვენი მომხმარებლის აზრი, გვაინტერესებდა – როგორ ხედავდნენ, რას გვირჩევდნენ ახალგაზრდები, ძალიან ბევრი ახალი იდეით და ემოციით დატვირთულები ვართ და, ვფიქრობთ, ამიტომაც არის ეს პროექტი ასეთი საინტერესო“, – განაცხადა „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ს გენერალური დირექტორის მოადგილემ ერეკლე გამყრელიძემ.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ბრდა. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განახორციელონ თავიანთი იდეები.

სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 58 გუნდმა მიიღო, შემოსული პროექტებიდან შიდაშესარჩევმა ჟიურიმ 6 საუკეთესო გამოავლინა, ხოლო სამი საუკეთესო გამარჯვებული კონკურსის მთავარმა ჟიურიმ შეარჩია, რომლის შემადგენლობაშიც უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, კომპანია „შპს სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტები“-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ერეკლე გამყრელიძე, „ვენდის“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი სოფო ჩოგოვაძე, კომპანია „ჯეოსელის“ მარკეტინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი ნიკა გვეცაძე და კონკურსის 2012 წლის გამარჯვებული, პიარ სკოლის კოორდინატორი თეიმურაზ ბაბუციძე შედიოდნენ.

პირველი მონოგრაფია საქართველოს მყინვარების შესახებ ქართულ ენაზე

თსუ დოქტორატის, ვახუშტი ბარგატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლის ლევან ტიელიძის მონოგრაფია „საქართველოს მყინვარები” პირველი მონოგრაფიაა ქართულ ენაზე მყინვარების შესახებ. მონოგრაფია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით და არის 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი – „საქართველოს მყინვარების გლაციო-გეომორფოლოგიური კვლევა თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე” (№40/44).

ნაშრომი ავტორის ათწლიან თეორიულ და საველე-კამერალურ კვლევის შედეგებს ემყარება, რომელიც კავკასიონის თანამედროვე და ძველი გამყინვარების შესწავლისას არის მიღებული. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებულია უახლესი მასალა თანამედროვე მყინვარების მორფოლოგიაზე, მორფომეტრიასა (დედამიწის ზედაპირის რელიეფის რაოდენობრივი დახასიათება) და დინამიკაზე.

მონოგრაფიაში ასევე განხილულია უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში ხეობის ტიპის მყინვართა ცვალებადობა; დადგენილია მყინვარების დინამიკა ისტორიულ პერიოდში. დეტალური გლაციო-გეომორფოლოგიური დაკვირვებების საფუძველზე ჩატარებულია გამყინვარების რეკონსტრუქცია გეოლოგიურ წარსულში.

სხვადასხვა დროს ავტორის მიერ ჩატარებულია საველე გამოკვლევები კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობზე თითქმის ყველა მყინვარულ აუზში. მყინვარების ის ნაწილი კი რომელიც ხვდება დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის რეგიონი და ჯავის რაიონი) გამოკვლეულია უახლესი აეროკოსმოსური მასალების საფუძველზე თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების და დისტანციური ზონდირების კვლევის მეთოდის გამოყენებით.

ლევან ტიელიძის აზრით, ეს მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო გლაციოლოგია-გეოგრაფიით, არამედ საბუნებისმეტყველო და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებით დაინტერესებულ სხვადასხვა უნივერსიტეტების როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე ყველა საფეხურის სტუდენტებს.

ძირითადი თეორიული დებულებები და დასკვნები მონოგრაფიის ავტორის მიერ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტიში დამუშავდა. კვლევის გარკვეული ნაწილი კი 2014 წელს აშშ-ი, მეინის უნივერსიტეტის კლიმატის ცვლილების ინსტიტუტის გლაციოლოგიისა და დისტანციური ზონდირების ლაბორატორიაში შესრულდა.